



გამოცემის  
102-ე წელი

www.gazetiajara.ge

# აჭარა

ბამონდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№140 (25.020)

ხუთშაბათი, 22 - 23 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გაეროს ეროვნული  
სააგენტოს აჭარის  
ჰიდრომეტეოროლოგიური  
ოგსარკვევითი ცენტრი



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდა მთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 766 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## პირილოსი N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საუდის არაბეთის სამეფოში ვიზიტით გაემგზავრა. «ვიზიტის მიზანია, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გაღრმავდეს და გაძლიერდეს თანამშრომლობა, პოლიტიკური დიალოგი, მეორე მხრივ, ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდეს და მეტი ინვესტიცია შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში», - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა. მისი თქმით, ეს ვიზიტი იქნება გამორჩეული და კონკრეტული, ხელშესახები შედეგების მომტანი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თურქეთში აწერბაიჯანის თურქეთი-საქართველოს სამხრეთ-თავდაცვის მინისტრებთან მინისტრული დიალოგის ფარგლებში, თურქეთის თავდაცვის მინისტრ შულუსი აკართან და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრ გენერალ-პოლკოვნიკ ზაქარ ჰასანოვთან, ასევე ორმხრივ შეხვედრებს მართავს. მხარეები განიხილეს რეგიონის უსაფრთხოების გაგრძელება, ასევე სამხრეთ ფორმატში არსებულ და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებს. აზერბაიჯანის თურქეთი-საქართველოს სამხრეთ-თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრა გასული წლის ოქტომბერში, საქართველოში, კერძოდ კი თელავში გაიმართა.

საქართველო, ალბათ, 2024 წელს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის ამბლუაში შეხვდება, - განაცხადა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თეიმურაზ ჯანჭალიამ გააკეთა. მისი ინფორმაციით, თებერვლისთვის ყველა ის სამუშაო დასრულდება, რაც ევროკომისიის 12 რეკომენდაციის ფარგლებში კეთდება. როგორც ჯანჭალიამ განაცხადა, უზარმაზარი სამუშაო გაწეული იმისთვის, რომ პროცესი წარმატებით დასრულდეს. მისივე თქმით, საქართველოს შეფასება წლის ბოლოს უნდა მომდარდეს, თუმცა ევროკომისიამ ითხოვა დრო უფრო ეფექტური შეფასებისთვის.

თუ საპარლამენტო ოპოზიციიდან ვინმე სახალხო დამცველის პოსტზე «ქართული ოცნების» ულტიმატუმით წამოყენებული ხუთი კანდიდატიდან რომელიმეს დაუჭერს მხარს, ეს იქნება ლალატი, საკუთარი პოზიციისა და სიტყვის გატენა, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ. «სახალხო დამცველი ან იმ სამი კანდიდატიდან ავირჩევთ, ვინც სამოქალაქო სექტორმა წარმოადგინა, ხოლო თუ ომბუდსმენის არჩევის საკითხი ჩავარდება, ეს ნიშნავს, რომ «ქართული ოცნებას» ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება არ უნდა», - დასძინა მან.

მომავალა  
ია შვედიაში

## წლის სპორტსმენები - სალომე მელია და ბექა ურჯუკაშვილი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ყოველი წლის ბოლოს ბათუმის მერია ტრადიციულად წლის სპორტულ მოვლენებს აჯამებს და სპორტის სფეროში მოღვაწე საუკეთესო სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის პედაგოგებს, გუნდებს, სპორტულ უზრუნველსებებს აჯილდოებს.

ჯილდოვებებიან ასევე ვეტერანი სპორტსმენები და ის ადამიანები, რომლებმაც სპორტის განვითარებაში წვლილი შეიტანეს. მისი მიზანია სპორტის განვითარების მხარდაჭერა, ასევე, წარმატებული სპორტსმენების სტიმულირება.

წელს სასტუმრო «პილოტონში» გამართულ ღონისძიებაზე სწორედ ისინი დაჯილდოვდნენ, ვინც მიმდინარე წელს მნიშვნელოვან სპორტულ წარმატებას მიაღწია.

ღონისძიებას უძღვებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ გუდავა და აჭარის ტელევიზიის გადაცემა «შუადღის» წამყვანი ნიკო ცვლანი.

ნომინაციაში «წლის სპორტსმენი» - საუკეთესო ქალ სპორტსმენად მოჭადრაკე სალომე მელია დასახელდა, რომელიც აქტიურ სპორტულ კარიერასთან ერთად, წარმატებით უძღვება აჭარის ჯადრაკის ფედერაციას. საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცად სარაგბო კლუბ «ბათუმის» მორაგბე ბექა ურჯუკაშვილი დასახელდა, რომელმაც 2021-2022 წლების სეზონში «ბათუმის» ჩემპიონობაში დიდი წვლილი შეიტანა, იგი საქართველოს რაგბის კავშირმაც გასული სეზონის «დიდი ათის» ფინალის საუკეთესო მორაგბედ დასახელა.

«წლის დებიუტანტი» გახდნენ ანეტა ქედელიძე და ვიტალი ირემაძე, «წლის ვეტერანი» - ნოდარ ხაჩიშვილი და ოთარ დოჭვირი. ნომინაციაში - «სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის» წლის საუკეთესოდ დასახელდნენ შპს «აგროშაბი», შალვა ტაბალა და ლიანა ბაიანიშვილი, ნომინაციაში «სპორტის მოამაგე» კი ხუთი ვეტერანი - მედეა ბიბილეიშვილი, ნინო აბაშიძე, ოლეგ ტრიფონოვი, ეთერ დიასამიძე, თალიკო გაბეჩავა.



ნომინაციაში წლის საუკეთესო «ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი» დასახელდნენ - თინათინ ბოლქვაძე (ბათუმის მე-8 საჯარო სკოლა), ეთერ შალაბერიძე (მე-13 სკოლა), ლევან გოთუა (მე-20 სკოლა), ლევან ღვინცაძე (მე-14 სკოლა), კახაბერ ხომერიკი (მე-17 სკოლა).

2022 წლის «სპორტული უზრუნველსებები» გახდნენ ბესო ჩიბურდანიძე, გიორგი მურგანიძე, ქეთი ბოლქვაძე, ირაკლი დარცმელიძე, დარეჯან ციაში - «სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის» წლის საუკეთესოდ დასახელდნენ შპს «აგროშაბი», შალვა ტაბალა და ლიანა ბაიანიშვილი, ნომინაციაში «სპორტის მოამაგე» კი ხუთი ვეტერანი - მედეა ბიბილეიშვილი, ნინო აბაშიძე, ოლეგ ტრიფონოვი, ეთერ დიასამიძე, თალიკო გაბეჩავა.

წლის საუკეთესო «ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი» დასახელდნენ - თინათინ ბოლქვაძე (ბათუმის მე-8 საჯარო სკოლა), ეთერ შალაბერიძე (მე-13 სკოლა), ლევან გოთუა (მე-20 სკოლა), ლევან ღვინცაძე (მე-14 სკოლა), კახაბერ ხომერიკი (მე-17 სკოლა).

2022 წლის «სპორტული უზრუნველსებები» გახდნენ ბესო ჩიბურდანიძე, გიორგი მურგანიძე, ქეთი ბოლქვაძე, ირაკლი დარცმელიძე, დარეჯან ციაში - «სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის» წლის საუკეთესოდ დასახელდნენ შპს «აგროშაბი», შალვა ტაბალა და ლიანა ბაიანიშვილი, ნომინაციაში «სპორტის მოამაგე» კი ხუთი ვეტერანი - მედეა ბიბილეიშვილი, ნინო აბაშიძე, ოლეგ ტრიფონოვი, ეთერ დიასამიძე, თალიკო გაბეჩავა.

სპორტული მიღწევებისათვის (ფულადი ჯილდოებითაც) დაჯილდოვდნენ მწვრთნელები და სპორტსმენები სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ქეთევან მახარაძე, ნინო მუჯანაძე, ირაკლი სულაბერიძე, ალექსანდრე სალუქვაძე, ლიკა ნაკაიძე, თენგიზ დიდმანიძე, ვანო ჯანჭალაშვილი, ედუარდ ხომერიკი, ირაკლი ვოლოკოვი, ედნარ ჩაზმავა, აიშა ალახვედრიძე, ლიზი ჩოვაძე, გიორგი ჭანტურია, გიორგი ძინძიძაძე, რეზო ჭანტურია.

სპორტსმენები დაჯილდოვდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მანა ხაჩიშვილმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, მოადგილე სოფო ხალვაშმა, ბათუმის საკრებულოს წევრებმა ნატალია ზოიძემ და თენგიზ აფხაზავამ.

იხ. 33-34 გვ.

## 2022 წლის პოლიტიკური მოზაიკა, ანუ რა საკითხები იყო აქტუალური საქართველოსა და მსოფლიოში

## «ინგლისის განათლების ელემენტების გადმოტანა სსსკრებულში იქნება»

### გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





# აღებული ვალდებულებების 30% შესრულებულია

აჭარის უმაღლესი საბჭოს და მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ საბჭოს სხდომაზე, რომელსაც, სხდომის წევრებთან ერთად, პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომლები ესწრებოდნენ, განაცხადა, რომ ღია მმართველობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების 30% უკვე შესრულებულია.

დავით გაბაიძის თქმით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე, ღია მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით, ღიაობისა და გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზედამბებლო მექანიზმების გაძლიერებაზე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ღია მმართველობის რეგიონული საკანონმდებლო ორგანოების ქსელის შექმნაზე.

„საბჭოს მიერ პირველი სამოქმედო გეგმის (2020-2022 წწ) ფარგლებში გაწეული საქმიანობა, მიმდინარე 2022-2024 წლების გეგმა და ვალდებულებების შესრულება შეაფასეს ვაგროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივმა წარმომადგენელმა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულებისა და სასწრაფო საქმეების გუნდის ხელმძღვანელმა ნიკ ბერესფორდმა და ავატა ნეიბოიმ. მათი თქმით, საკანონმდებლო ორგანომ მნიშვნელოვანი



ნი სამუშაო გასწია საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად და შექმნა ონლაინპლატფორმა [chaerte.sca.ge](http://chaerte.sca.ge), რომელიც მოქალაქეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ მმართველობით პროცესებში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ვებპლატფორმა სრულად არის ადაპტირებული შპმ პირთათვის.

უმაღლესი საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთ სიახლეს სთავაზობს - ამიერიდან დაინტერესებულ პირებს კომიტეტების სხდომებზე დასწრება ონლაინრეჟიმში შეუძლიათ - [Chaerte.sca.ge](http://Chaerte.sca.ge)-ს ონლაინრეჟიმში შესახებ პრეზენტაცია მასშტაბურ ღონისძიებაში და საინფორმაციო განყოფილების უფროსმა სუსანა ვაშაყმაძემ გააკეთა.

2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე მოხსენებები გააკეთეს ღია მმართველობის საბჭოს წევრებმა ტიტე არიშიძემ, დავით ბაციკაძემ, გიორგი კირთაძემ და მარინე გვიანაძემ. როგორც აღინიშნა, მე-2 სამოქმედო გეგმის ნაწილი უკვე შესრულებულია და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაგვიზიარონ იდეები უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვისა და მინისტრის საათისთვის, დააფიქსირონ პოზიცია კანონპროექტებთან დაკავშირებით. ცვლილებები შევიდა რეგლამენტში თემურის მოკვლევისა და მინისტრის საათის შესახებ, მიმდინარეობს მუშაობა მმართველობით პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის სტრატეგიაზე.

სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის შეფასების განაცხადის ფორმა და კითხვარი“, - ნათქვამია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ გაგაცემულ ინფორმაციაში.

ამირან ბურიძე

## ნირო ნიჟარაძე - სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტის სიახლეებზე

ღარიბა ბაბაიძე 27 48 93

აჭარის ჩანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნირო ნიჟარაძემ სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი და დაგეგმილი პროგრამული სიახლეები ბათუმის მერიის წარმომადგენლებს გააცნო

2023 წელს სამინისტროს ბიუჯეტი 4 000 000 ლარით გაიზარდა და 32 735 000 ლარი შეადგინა. შესაბამისად გაიზარდა პროგრამების ბიუჯეტი და მოსარგებლეთა რაოდენობა, არის რამდენიმე ახალი პროგრამა.



„შეხვედრის მონაწილეებს, რომლებიც უშუალო კავშირში არიან ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათი მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტში დაგეგმილი სიახლეები და ცვლილებები გავაცანით. განვიხილეთ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს DRG მოდელის ამოქმედების საფუძველზე, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს რიგ პროგრამებში განხორციელებული თანადაფინანსების მეთოდი, ასევე, ის ახალი პროგრამები, რომლებიც 2023 წლიდან ამოქმედდება“, - აღნიშნა ნირო ნიჟარაძემ.

„შეხვედრას, რომელიც ქალაქ ბათუმის მერიაში გაიმართა, მერიის მოადგილე ლეო სურმანიძე და მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე ესწრებოდნენ.

## ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა

ნაირა შუტაბაძე 27 48 93

ხელგაწერის მუნიციპალიტეტის მერიას სტუმრად სომხეთის გენერალური კონსული/დესპანი საქართველოში ბატონი ვაჰაგნ ფილიძისი ეწვია

ხელგაწერის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემიძესთან ერთად, გენერალურ კონსულთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ქვეყნის განვითარებასა და რეფორმების წარმატებულ განხორციელებას უწყობს ხელს.

„შეხვედრაზე, ხელგაწერის მუნიციპალიტეტის დამეგობრებისა და მუნიციპალიტეტებს შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთანამშრომლობის საკითხზეც ისაუბრეს.

კერძოდ, ორი მუნიციპალიტეტის დამეგობრების შემთხვევაში, ტურიზმის აქტიურად განვითარების, სტუდენტური და პროფესიული გაცვლითი პროგრამების განხორციელების საკითხებზე. მხარეებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებელი იქნება სომხეთის საზოგადოებისათვის ქართული კულტურული, სპორტული და ეკონომიკური თავისებურებების გაცნობა და პირიქით.



## უსხოეთში სტაჟირების პროგრამის მონაწილეებს შეხვდნენ

ღარიბა ბაბაიძე 27 48 93

აჭარის რეგიონში პროფესიული პრაქტიკა გაიარა 26-მა უცხოელმა სტაჟირმა, ხოლო აჭარიდან ევროპის რეგიონებში - 131-მა ახალგაზრდამ. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანი, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, უცხოეთში სტაჟირების პროგრამის მონაწილეებს შეხვდა

უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის ფარგლებში, ამჟამად 3 უცხოელი გადის სტაჟირებას ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სეპტორა ნომა აიოუბი - ბელგიიდან, 2022 წლის პირველი ოქტომბრიდან ფრანგული ენის მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე სტაჟირებას გადის ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებში, ასევე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ალბერტო ვეტტესე - იტალიიდან, 2022 წლის 16 ოქტომბრიდან იტალიური ენის მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე სტაჟირებას გადის ბათუმის საჯარო სკოლებში და ბათუმის



ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში. მარგან ელ მაჰი - ბელგიიდან, 2022 წლის პირველი დეკემბრიდან ფრანგული ენის მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე სტაჟირებას გადის ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებში. უცხოელმა ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მიღებული პრაქტიკა და გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათთვის, ქართველი პედაგოგები უწყვეტდნენ მეტად ღირებულ დახმარებას

და აძლევდნენ საინტერესო რჩევებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვაში.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ძალიან კარგი გამოცდილება ქართველი მოსწავლეებისთვის მასწავლებლების უცხოელ ასისტენტთან კომუნიკაცია, სწორედ ამ პროცესში ხდება ენობრივი ბარიერების დაძლევა და კულტურული ღირებულებების გაცვლა.

## 120 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია

ღარიბა ბაბაიძე 27 48 93

მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 8 უძრავი ქონების პრივატიზება განხორციელდა. მიწის ნაკვეთების განკარგვა ელექტრონული აუქციონის შედეგად მოხდა.

აუქციონები საწყისი საპრივატიზაციო ღირებულებით - 32 140 000 ლარით გამოცხადდა, საბოლოო ვაჭრობის შედეგად კი 42 875 000 ლარი დაფიქსირდა.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ქონების შემქმნმა პირებმა ჯამში 120 000 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია უნდა განახორციელონ.

აჭარაში, 2022 წლის 9 თვის მონაცემებით, უძრავი ქონების მთლიანი ბაზრის ღირებულება 34%-ით არის გაზარდილი და 503 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

2022 წლის 9 თვის წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 106.5 მლნ აშშ დოლარია. სექტორები: უძრავი ქონების სექტორი, ტრანსპორტი, დამამუშავებელი მრეწველობა.

ბიზნესსექტორის მესამე კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში, ბრუნვა 39%, პროდუქციის გამოშვება 23% და დასაქმებულთა რაოდენობა 11%-ით არის გაზარდილი.

## ფინანსური მხარდაჭერა ბრძელბა

ნაირა შუტაბაძე 27 48 93

ხელგაწერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოქალაქეების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა გრძელდება.

ხელგაწერის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, წინასახალწლოდ გარკვეული მოწყვლადი კატეგორიისთვის, კერძოდ, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის



(ხუთი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), 1000 სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებისთვის, დედამამთ ობლებსთვის (18 წლამდე), მარტონელა მშობლებისთვის (დედა - მამა), 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისთვის.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის უზრუნველსაყოფად შექმნილია კომისიამ იმსჯელა წინასახალწლოდ, ფინანსური დახმარების საკითხზე.

სხვადასხვა მოწყვლადი კატეგორიის, ჯამში 80 ოჯახს გაეწევა ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით. მოქალაქეების ფინანსური დახმარებისათვის ბიუჯეტიდან ჯამში 40 000 ლარია გამოყოფილი.











